

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი
სატენდერო კომისიის სხდომის

თავი 1

08 აგვისტო, 2016 წელი
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)

სხდომას ესწერებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

ედიშერ თოლორაია _ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

სატენდერო კომისიის წევრები

ლაშა გოგია _ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

თენგიზ შანავა _ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ნანი მიქენაია _ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

თენგიზ ქობალია _ ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;

რუსლან კილაშვილია _ ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი;

ჯაბა არდა _ მშენებლობის სამსახურის უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

ბესიკ ქარდავა _ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

აქსანა გუჩუა _ იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით _ შვიდი წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კორცხელის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრში, ჭაბურღილის მოწყობისა და დაქსელვის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა.






მოისმინებ: სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ე. თოლორაიას ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კორცხელის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრში, ჭაბურღილის მოწყობისა და დაქსელვის სამუშაოების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით და კომისიას განსახილველად ელექტრონული ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია წარუდგინა.

სხდომის მსვლელობა: სატენდერო კომისიამ განხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო წინადადების ფორმები. შესყიდვის საგარაუდო ღირებულება განისაზღვრა 329862,20 ლარით.


კომისიამ გადაწყვიტა: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დამტკიცდეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კორცხელის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრში, ჭაბურღილის მოწყობისა და დაქსელვის სამუშაოების შესყიდვაზე წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია (ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თან ერთვის).

დაუვალოს სატენდერო კომისიის აპარატის: უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).).

კომისიის წევრები:

1.  ქ. თოლორაია (თავმჯდომარე). 6.  რ. გოლასონია.
2.  ლ. გოგოა.
3.  თ. შავაშვილი.
4.  ნ. მიქენაია.
5.  თ. ქობალია.
7.  ჯ. არძინაშვილი.

კომისიის აპარატის წევრები:

1.  ნ. ქარდავა.
2.  ა. გოგებაშვილი.